საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE BODY

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 135

07 09 2015 წელი

მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 2 სექტემბრის N2137-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 7 სექტემბრის სხდომის N14 ოქმის მე-16 საკითხის შესაბამისად, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 3 სექტემბრის N03/3084 წერილით წარმოდგენილი ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 2 სექტემბრის N2137-03 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით, ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს კანონის 122-ე მუხლის საფუძველზე

1. მიეცეს თანხმობა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელს, 44 ერთეული ნაგვის ბორბლებიანი კონტეინერი სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით გადასცეს მარნეულის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს ,,სუფთა მარნეულს“.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონული სასამართლოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ მოსამართლესთან (მის: ქ. მარნეული, ნარიმანოვის ქუჩა N4), მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეს თეიმურაზ ბერიძეს.

ნაბი აბდულაევი

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: